მიღება-ჩაბარების აქტი

სოფ. მელე 10 სექტემბერი 2021 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს ორგსერვისი (შემდგომში ,,მიმწოდებელი“) ხოლო მეორეს მხრივ ს.ს.ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ მელე საჯარო სკოლა (შემდგომში ,,შემსყიდველი“) წარმომადგენელი მისი დირექტორის მ.შ მაია გველებიანის სახით ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს შემდეგზე:

,,მიმწოდებელმა“ ,,შემსყიდველთან“ #13/2021 გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად მიიღო 339,7 (სამასოცდაცხრამეტი ლარი 70 თეთრი)ლარის ღირებულების საქონელი.

აქტი სწორია რაზედაც ვაწერთ ხელს:

1. /მაია გველებიანი/

2. /შპს ორგსერვისი/

ხელშეკრულება #13/2021
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სოფ. მელე 10 სექტემბერი 2021 წ.

ერთის მხრივ, სსიპ-ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ მელეს საჯარო სკოლა (შემდგომში-,,შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მ.შ მაია გველებიანი და მეორეს მხრივ შპს ორგსერვისი (შემდგომში - ,,მიმწოდებელი“) სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ მელეს საჯარო სკოლას მიაწოდოს საკანცელარიო საქონელი (cpv30100000) მიწოდება.

1.2. შესყიდვის საქონლის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 339,7 (სამასოცდაცხრამეტი ლარი 70 თეთრი) ლარი საქართველოში არსებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

2.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

3.1. შესყიდვის მიწოდებისადგილია სოფ.მელე. შესყიდვის ვადა 2021 წლის 20 სექტემბერი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით ან ანგარიშ-ფაქტურით რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში.

5.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

5.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის ან ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტი ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში;

ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა .

7.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.
7.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2021 20 ოქტომბერი.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. სხვა პირობები

11.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
11.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯითა და რისკით.
11.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
11.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ მელეს საჯარო სკოლა	**შპს ორგსერვისი**
მის.: *ლენტეხი, სოფელი მელე* ს/კ: *234069101* ბანკი: *ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ლენტეხის ფილიალი* ა/ა: *GE83LB0121135107118000* ბ/კ: *LBRTGE 22*	*ს/კ 212693851* *ბანკი: სს თიბისი ბანკი* *ა/ა: GE32TB0300000030467356* *ბ/კ: TBCBGE22*
სკოლის დირექტორისმ.შ **მაია გველებიანი**	*შპს ორგსერვისი*
_____	Khvicha Nemsadze 62004014898 Digitally signed by Khvicha Nemsadze Date: 2021.09.10 13:08:20